

რედაცია

მელიქიძის ქუჩაზე, პრეტორიუმის ხაზ-
ლებზე.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიძის სტამბაში.
ჭალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ
редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში—
4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
საღივ ნომერი—ერთი შაური.

დროება

გაზეთის კვირალაშობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-
კულულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-შთაფრულით,
სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

განცხადება

„დროების“ რედაქცია, ერთი ქარ-
თული ლიტერატურის მოყვარე პი-
რის მონღობლობით, აცხადებს, რომ
ვინც რედაქციაში წარმოადგენს, ან
სამუდამოთ ან მხოლოდ გადასაწე-
რად, ქართულ პოემას, სახელად

„სამანე გმირთა“

იმწამსვე ათს თუშანს მიიღებს ჯი-
ლდოთ.

ხსენებული პოემა, როგორც გა-
გვიგონია, ერთს ვილაძ ბერს დაუ-
წერია, ვგონებთ წარსულ საუკუნეში.
იმაში აწერილია ლექსით ქართველი
გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა.
ამ 30—40 წლის წინათ, უფ. პლა-
ტონ იოსელიანსა და თ. ბიორგი
ძრისტაყს უნახავთ ის საღივ და
წყაუკითხავთ.

საქართველო

ჭუთაისის ბანკის დამტკიცება

ჭუთაისის სააღმშენებლო ბან-
კის წესდება, როგორც ამას წინაწე-
დაც მოვიხსენებთ, გასულის გიორგო-
ბის თვის 10-ის დამტკიცდა პეტერ-
ბურღში.
მაშასადამე დღეს შემდეგ ამ საქ-
მეში ყველაფერი თავად-აზნაურობა-
ზედ და მოაკიდებულა. წესდების და-
ლით, ყველაზე პირველად იმან
უნდა ამოარჩიოს ბანკის გამგეობა,
ზედამხედველი კომიტეტი, დამფასებ-
ლები და სხე.
ეს ისეთი საქმეა, რომელზედაც ბან-
კის მომავალი ბედი და უბედობა იქ-

ფალტონი

კომედია „პეპო“
ქართულს სენაჟად *)

„პეპოს“ შინაარსი დამ, რომელიც
წარსულ ნომერში იყო მოყვანილი,
კომედის ლირსებას, ძალასა და სი-
მშვენიერეს თუ არა, იმის საფუძველ-
სა და ჰაზრს მიიხსენებდით.
ზაიგებდით, რომ ყველა იქ გამო-
ყვანილი პირები ჩვენი კარგი ნაცნო-
ბნი არიან; იმით ყოველ დღე, ყო-
ველ ნიბიჯზე ვხედავთ ჩვენს.
აქედით თითოეული პირი და ო-
რიოდ სიტყვით გაემარტოთ იმათი

*) „დროება“, № 136

ნება დამოკიდებული. ძარგი, მცოდ-
ნე და პატიოსანი მოთაფენი ბანკისა
უანგარომო სარგებლობას მოუტანენ
ბანკსა და იმის საშუალებით მემამუ-
ლებს; უმეცარი გამგებელი კი
თავიღამევე დაღუპვენ იმას.

ამის გამო სანატრელია, რომ ეს
საქმე რაც შეიძლება მომეტებულის
სიფრთხილითა და წინდახედულობით
წყაყენონ ბანკის დამმარხველთ, რომ
ჩვეულებრივი განხეთქილება, პარტი-
ობა და უთანხმოება დროებით მა-
ინც დავეციყოსთ, არჩევანის დროს,
და მხედველობაში მხოლოდ ბანკის
სარგებლობა ჰქონდესთ.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ
ამ გამგეობის არჩევანის დროს დამა-
რხებელთ მომეტებულ ნაწილს მა-
ინც შეეძლოს მოსვლა და მოწაწი-
ლეობის მიღება. სხვა არა იყოს რა,
ამ კრებებზე მიყრუებული ალაგები-
დამ მოსული ხალხი ცოტათი მიიხს-
ნებიან ბანკის წესებსა. ამიტო-
მაც ახლა, ამ ზამთარში, როდესაც
იმერეთის, რაჭის და ლეჩხუმის გზე-
ბი ბევრგან სრულდებოდა შეკრულია,
იმედია, კრება არ დაინიშნება და
ბანკის თაობაზე არაფერი მოლაპა-
რაკება და გარდაწყვეტილება არ მოხ-
დება. თებერვალზე ან მარტზე აღრე
საზოგადო კრება, ჩვენი ჰაზრით, არ
უნდა იყოს დაინიშნული და ისიც შეი-
ძლება, რომ მაისში დაინიშნოს, რო-
დესაც თავად-აზნაურობის კრება უი-
მისოთაუ უნდა მოხდეს მარშლების
ამოსარჩევად.

მსტკვით, როცა იქნება და რო-
გორც იქნება, კრება მოხდა და გამ-
გეობაც აირჩიეს; ესტკვით, ეს გამ-
გეობა პატიოსანი და მცოდნე პირე-
ბისაგან არის შემდგარი.

ეს კიდევ არ კმარა იმისთვის, რომ
ბანკმა ის წამდელი სარგებლობა
მოუტანოს ქვეყანას, რომელსაც იმი-
საგან მოვლიან; და არათუ სარგე-
ბლობა, შეიძლება, რომ იმან ჩვენი
გალატაკება და უმიწაწყლოთ დაგ-
დება მოიტანოს, თუ თადარიგიანათ
არ მოვიხმარეთ ის ფულები, ის კრე-
დიტი, რომელსაც ბანკი მოგვეცემს.

ძარგათ უნდა დაეხსომათ, რომ
სადაგილ-მამულო ბანკიდამ აღებუ-
ლი ყოველი კაპეიკი თუ ისევე აღ-
გილ-მამულს და ჩვენი მეურნეობის
გაუმჯობესობას არ მოხმარდა, უამი-
სოთ ეს ბანკი დამღუპველი იქნება.
მალში მამული დაგირადება, ამავე
მამულმა უნდა გადაიხადოს ეს ვალი.
მაგრამ როგორ გადაიხდის, თუ აღე-
ბულს ფულებს სხვა რასმეში, და არა
მამულის გაუმჯობესობისათვის, მოი-
ხმარს მემამულე.

წარმოიდგინეთ, რა გამოვა ამისა-
გან:

მემამულემ დააგირავა მამული და
აიღო ბანკიდამ ფული სესხად. მა-
დხდის დრომ მოაწია. მამულის შე-
მოსაყალბა ვერ გადინდა, რადგან
ფულები იმაზე არ დახარჯულა, ბან-
კი იძულებული იქნება, რომ ეს მა-
მული გაჰკიდოს.

თუ ამისთანა შემთხვევებს არ მო-
ერიდნენ მემამულეები, უცქველია,
რომ ბანკი ახლანდელ მეპატრონეებს
ჩამოაციოს ადგილ-მამულსა და ის
გადავა ისეთი ხალხის ხელში, რომ-
ელიც უფრო ფულიანი და ყარი-
თიანია. პიდევ კარგი, თუ ისევე ჩვე-
ნი ქვეყნის ხალხი, განსაკუთრებით
ჩვენი გლეხები იყრიან ამ მამულებს;
მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ ამ
დროს ან ჩვენგურვიე ვაჭრები და

ან უცხო ქვეყნელები არ გაჩნდებიან
ჩვენში, რომელნიც ჩაიდებენ ხელ-
ში ამ გვარი უხვირო მემამულეების
ქონებასა?

მგონი, ურიგო არ იქნება, რომ
ამ საგანზე კარგათ, გულ-დამჯდარად
მოიფიქრონ მუთაისის გუბერნიის
ადგილ-მამულის პატრონეებმა, რომ-
მელთაც, ბანკის წყალობით, ახლა
ასეთი ვრცელი კრედიტი ეხსნებათ;
ახლავე მოიფიქრონ, თორემ მერე,
რამდენიმე წლის შემდეგ, ამაზე ფი-
ქრი და დარდი უდროო და გვიანლა
იქნება.

ს. მესხი

დღიური

ჩვენ შევეტყეთ, რომ აქ-ური სა-
მასწავლებლო ინსტიტუტის შავი-
რდებს ას მანეთამდი შეუკრებიათ ბერ-
ცოგოვინელებისა და ბოსნიელების
სასარგებლოთ და სადაც ჯერ არს
გაუგზავნიათ. მგონია, ჩვენში ეს
პირველი მაგალითია, რომ რომლი-
სამე სასწავლებლის შავირდებს ამ
გვარს საქმეში რაიმე მონაწილეობა
მიეღოსთ.

* * *

თითქმის დღე არ გადის, რომ
ჩვენს ქალაქში ან კაცი არ მოჰკლან
და ან სხვა რამ ავაზაკობა არ მოხ-
დეს. შევლაზე უფრო ხშირად ამგვა-
რი საქმეები ავლანარში, ნავთლულ-
ში და მერაზე ხდება, ე. ი. ისეთს
უბნებში, რომელნიც ქალაქის შუა-
გულიდამ ცოტათი მოშორებულნი
არიან. რაღა თქმა უნდა, დიდი ხა-
ნია დროა, რომ ჩვენმა პოლიციამ
ამ გარემოებას ყურადღება მიუქციოს.

* *

ხსიათი. (როგორც შინაარსი კომე-
დიისა, აგრეთვე ეს განმარტება, სხე-
თა შორის, იმიტომაც მოგვეყავს,
რომ „პეპო“, სამწუხაროთ, ჯერ არ
დაბეჭდილა, და მაშა სადამე საზოგა-
დობას არ წაუკითხავს):

პეპო—კინტოა, მეთვეზე. მაგ-
რამ უბრალო კინტო კი არა; ეს
ისეთი კაცია, რომლის ტენი მუშა-
ობს, რომელიც კარგათ აკვირდება
ქვეყნის ბრუნვას, რომელსაც ესმის
საზოგადოების წესები და დაწყობი-
ლებანი. პინტო და პრინციპები რომ
მოთაფლებოდნენ ერთად, მე ვიტყ-
ვადი, რომ პეპო პრინციპებიანი
კაცია-მეთქი.
პეპოში გამოხატულია, განხორ-
ციელებულია ის ეკონომიური უ-
თანხმოება, რომელიც მთელი ქვე-

ყნისათვის საგრძობელი და და-
საფიქრებელი შეიქნა.

ის დულს, იმას ვერ აუტანია, ვერ
მოუთმენია ეს უსამართლო ძალისა-
გან პატიოსანის, მაგრამ სუსტის და-
ჩაგრა. ნაღველი მოსდის; მზათაა შე-
ახეთქოს თავის ტენი ყოველის დამ-
ჩაგვრელს უსამართლო ძალასა. მა-
გრამ თავის უღონობას ხედავს და
თითქო დასცივნის თავის წადილს.

ის განათლებული კაცი არ
არის, იმას თეორიები არ შეუწყა-
ვლია, მხოდაზე, ერთობაზე და თა-
ნასწორობაზე თავის დღეში სიტყვაც
არ გაუვინა. მაგრამ, მის მაგივრად
იმას უცხოვრია, ის დაკვირვებია ჩვენს
ცხოვრებასა და რასაც ამბობს, თა-
ვის თავზე, თავის ტყავზე უგრძნია.

უსამართლობასა და გამწარებას
მკვერმეტყველ გამოშთქმელად გაუ-
ხდია ყველა იმ სენისა, რომელსაც
ჩვენ ვხიდავთ ქვეყანაზე.

მე სრულდებოდაც არ მივიკრს, რომ
პეპომ არ გაუგონა ვედრობა და
რჩევა თავის დედას, დას და შიქოს,
როდესაც ისინი ეუბნებოდნენ, რომ
არუთინასთვის ბარათი მიგცა და
ამით ერთის მხრით „აბანოში“
ჩაჯდომისაგან განთავისუფლებული-
ყო და მეორეს მხრით დროზე და
მომეტებული ფულებიც მიეღო. პი
აქ სჩანს, რომ პეპო პრინციპებიანი
კაცია: იმან დაიფიქვა ამ შემთხვევაში
თავის პიროვნული სარგებლობა და
უნდოდა, რომ ერთი უსინდისოთ
გამდიდრებული გამოეაშკარებინა
საქვეყნოდ, დაენახებინა ყველას-

ჩვენ შეიქმნეთ, რომ ამ მოკლე ხანში ქართული სცენის მოყვარენი, საზოგადოების თხოვნით, „პეპოს“ წარმოდგენის გამეორებას აპირებენ.

**

ზოთიდან გვეწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს აქ ერთობ გახშირდა ქურდობა; რამდენიმე დღის განმავლობაში სამჯერ დაეცენ აქაურებს ქულებიო, მაგრამ ვერცერთს ალაგას ვერა ვაიტანეს რაო. ამას გარდა ერთი ვიღაც რუსი მოუკლავთ ამ ქალაქში.

**

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მომავალი კვირის ორშაბათს, დეკემბრის 8-ს, მთელი საზოგადოებრივი მეთაურები, იქნება საზოგადოებრივი წარმოდგენა უფ. ჩიმიშვიანის სასარგებლოდ. წარმოდგენენ: „შვილოკს ანუ მენეციელ ვაჭარს“, „მოს ქმარსა“ და „მუნდა ვასკლი და ცოლი შეირთვ.“

„დროების“ კორექტივები

ზურინიდან, 28 ნოემბრის

ვის არ მოეხსენება, რომ იმერეთში, ზურიაში და სამეგრელოში, განსხვავებულად იციან ტირილი და მოთქმა, როცა აღამიანი გარდაიცვლება; მაგრამ მზავის ტირილი და მოთქმა ჯერ არ გამოგონია მე, თვით გურულს-ზურიაში, როგორც ამას წინათ ვნახე და რომელსაც მე თქვენ ავიწერო.

15 ამ დღის მზურავით დანახვას ვერსხედ, სოფლის მკვეთისაკენ ვნახე ერთს ადგილას ვსვენა, მიწაზედ, მოკლული კაცი, ვიღაც ესაღნიკი და ეს-ეს იყო მისხვენიდენ. დამდგარა გზის გადაღობით ოთხი გურული კაცი, რომელთაც მე ვიცილობ

თვის თუ როგორები არიან ეს პირები, თუ როგორის საშუალებით მდიდრდებან ისინი; უნდოდა იმისთვის, რომ შემდეგში ამისთანა გზა მოვსპო და თავის მსგავსები დაეხსნა იმათის უსამართლობისაგან.

ჩემის ჰაზრით, გასაკვირველი არ არის, რომ პეპომ ამისთანა უაზვარება და თავის სარგებლობის დაიწყება გამოიჩინა.

მეორე ტიპი კინტოსი—ძაკული — ბევრით განსხვავდება პეპოსაგან. ეს არის ის უღარდელი, კეიფის მოყვარე, დარდიმანი და ჩიტივით უზრუნველი კინტო, რომელსაც ასე ხშირად შეხედებით ჩვენს ქალაქში.

ჭიფი უყვარს: ბური და დინო თუ გაჩნდა, ბედნიერია და თუ ზედ ცოტა მოთალიცა და კიტრი აქვს, მაშინ ხოცა ქუდათ და დედა-მიწა ქალამათაც არ მიჩნია! მართაქალის ზალი იმის ასპარხია! მლონდ დღეს ჰქონდეს ლუკმა-პური და ხეაღ მერითი მოწყალება!

და რომელნიც არიან მცხოვრებნი— ერთი მზურავითა და დანარჩენი სამნი— ჩოჩხათის, ჯურუყეთის და ბასილეთის საზოგადოებისანი, და ტირიან და მოთქმენ ამ სახით: დაიწყებს მზურაველი მაღალის ხმით და თავზედ ხელის მორტყმით:

„— მაიმე, ვაიმე ძმაო! რა უბედურებაა ეს ჩვენს თავზედ. ამ უკანასკნელს დროს აიგდეს თავი ამ ავაზაკებმა თათრებმა, რომ ოც და ათი ორმოცი კაცი ერთად გამოდინ ჩოლოკიდან, გეტაცებენ ძროხას, ხარს, ცხენს, კვლენ კაცს. პი შენ უბედურო, ჩემი ნათესავი ხარ, წუხელი მოგკლეს, და ერთი რამ რომ მოხდეს, სულ ააოხრებენ მთელ სოფლებს და თვით მზურავებს. უნ რისი შევინდებათ, ძმაო, კაცი ქურადლებას არ გვაძლევს. ჩვენი ბატონი მამასახლისი.... არაფერს შეგრება, არც სოფელში დადის, არც განკარგულებას შერება გზების გაკერისას, ანუ რამეს მოსასპობელიად ავაზაკებისა და ამნაირათ ვიღუბებით ძმაო!...“

მხლა ჯურუყეთის, ჩოჩხათის და ბასილეთის საზოგადოების ყმები აგრევე მაღალის ხმით და თავზედ ხელის შემოკერით:

„— მაიმე, ვაიმე ძმაო! თქვენ კარგი. შენ რომ ჩვენი სოფლები დაიარო და ნახო, თვალზედ ცრემლი მოგერევა. რომ ნახო, ძმაო, ჩვენი სოფლის გზები, ხიდეები და ბოგირები, იტყვი, თუ აქ კაცები არ მდგარანო. ღმერთსა გითყავ, ძმაო, მთელი წლის განმავლობაში გარდა იელისისა და ავეისტისისა არც ცხენს, არც კაცს და არცა ხარურემს არ შეუძლია ჩვენ გზებზედ გარება, სულ გულამდის უსკდება მიწა და ტალახი.“

„არც შეგვიძლიან, რომ თუ რამე ჩვენი ხელ ნაქნარი გვაქვს, ან ცხენით თვითონ ჩვენ წამოვილოთ ქალაქის ადგილზედ გასასყიდათ. ღმერთს, ხელ

ბოლ-ამნანაგისთვის, თავის ძმა ბიჭისთვის თავის მოკვლა გროშათაც არ მიჩნია. უსამართლობა ნახსად მე—იყვირებს, ქველი საქმისთვის გადაგვხვევა, ვინც უნდა იყო, და გადაგაკონის; ახირებულად ნუ მოეჩვენები, თორემ ისეთ ნაირად და გცინებს, ისეთ ნაირად სამასხართ ავიგდებს, რომ გულს მოგიკლავს. შეურაცხყოფა მიაყენე რამე—ცხრა ლიტრიანი მუშტი მზათა აქვს. პრინციპების არა იცის რა: მუდამ პირველი გრძნობით, პირველი უთაბეჭდობით ცხოვრობს და მოქმედობს.

საუცხოველ ტიპი, საყვარელი ხალხი! რამდენათაც პეპოს ხასიათი ტვინს აკმაყოფილებს, იმდენათ ძაკული გულსთვის საამო სანახავია, სიმპატიურია...“

არ უთინ ზიზი მოვი... შეველა იცნობთ არუთინ ზიზი მოვი! წარმოდგინეთ კაცი (მადლობა ღმერთს, ჩამის წარმოდგენა ქართველ კაცს ჩვენს დროში არ გაუძნელდე

მწითეს, მებატონეს და ცოლშვილს უნდა ვემსახუროთ და ჩვენზე რიგანათ მამასახლისები არ ფიქრობენ. ბანცელორიაში ბრძანდებიან, სოფლებში არ გაიარ-გამოიარს, არაფერს გარემოებას სოფლისას არ კითხულობენ და ყურს არ უგდებენ და მასთან თუ მიდი და რამე მოახსენე: „ხარაშო, ხარაშო, — გეტყვის. იმისთვის კი ხარაშო, ძმაო, მაგრამ ჩვენი კი...“

მზურაველი ნუგეშს აძლევს: „— მოთმინეთ, ძმაო, ამბობენ ახალი ღებურნატორი ძრიელ კეთილი კაციოა, მთელს ზურიას დაივლის და უბრძანებს ხალხმა გზები გააკეთოს სოფლებში და მუშაობას— გზის გაკეთებამდის შეუძლებლებს ხალხსო. მლონდ ჩვენი საქმეა ცუდათ, რომ აწ საზღვრის პირზედ ავაზაკები გვაწუხებენ.

მე ასე ვფიქრობ, რომ ავაზაკობის მოსპობა და კარგი გზები სოფლებში—პირველი პირობაა ამ ქმად ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისა და კეთილ მდგომარეობისა; ამისთვის ამ საგანზედ ტირილმა და მოთქმამ მეც ამითრთოლა გული, მომადგა თვალზედ ცრემლი და აკი დავიწყე მეც ქვეთინი!.. ეჰ...ეჰ...ეჰ.

რუსეთი

სამი წელიწადი იქნება რაც პეტერბურგში დარსდა განსაკუთრებული ამხანაგობა ასოს ამწყობებისა, მბეჭდავებისა და საზოგადოთ ყველა იმ მუშებისა, რომელნიც საბეჭდავებში მუშაობენ. ამ ამხანაგობას საზოგადო კრება ჰქონია ახლა, რომელზედაც შარშანდელი წლის ანგარიში წაუკითხვეთ და, სხვათა შორის, ახალი მწვერნი ამოუჩვენეთ ამხანაგობის გამგეობისთვის.

**

ბა!) წარმოიდგინეთ, ვამბობ, კაცი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად ფული, ფული და ფული გაუხდია, რომელიც არაერთხელ საშუალებას არ ზოგავს, რომ ამ მიზანს მიაღწიოს, რომლისთვისაც სიტყვები: „სინდისი“, „პატოხანობა“, „კაცმოყვარება“ და სხვა ამგვარები გაუგებარი და ფუტურა რამ ხმები; წარმოდგინეთ კაცი, რომელსაც გულგრილად და წარბევის შეუქმუნებლად შეუძლიან ლატაკს უკანასკნელი ქონი წართვას, ჩამოწონის—დაფრეწილი ჩოხა გააძროს, მშვიერს ლუკმა გამოგლიჯოს პირიდან, — და ყველა ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ამათგან მოტაცული გროშები ოქროებად აქციოს და ზედ დასცქეროდეს,— წარმოდგინეთ ეს და თქვენ თვალ წინ იქნება სურათი არუთინისი!

მსეთია არუთინ ზიზი მოვი. ამისთანა პირები ისეთს მოგლენას შეადგენენ ჩვენს დროში, რომ იმათი ნახვა აღარაინ აღარ უყვირს, და ახალი მოგვითვით და ჩვენზე რიგანათ მამასახლისები არ ფიქრობენ.

მსეთია არუთინ ზიზი მოვი. ამისთანა პირები ისეთს მოგლენას შეადგენენ ჩვენს დროში, რომ იმათი ნახვა აღარაინ აღარ უყვირს,

პეტერბურგის მესაათესს ვისაც რამდენი შესძლებია გამოაუჩინოს ფულები და მესაათეების შექოლის გამოათვა განუზრახავთ; საზოგადო კრებაზე, რომელზედაც ამ საქმის თაობაზე ჰქონდათ მოლაპარაკება, იმათ გამოაუცხადებიათ, რომ თითქმის უბრალო შაგირდი რა არის, ისიც კი შევიცარიდამ უნდა დაეიბაროთ და ამის გამო ჩვენი ხელობა ძალიან ძვირად ჯდება; შექოლაკი ამისთანა შაგირდებს დაგვიმზადებსო.

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი. მთი ინგლისური გავითის კორრესპონდენტი სტამბოლიდან შემდეგ მოსახურება იწყება ახლანდელ ოსმალეთის მდგომარეობაზე:

„სტამბოლი რომ დიდხანს ოსმალელების ხელში არ დარჩება და არც ოსმალეთის სამეფოსა აქვს ხანგრძლივი სიცოცხლე,— ეს ახლა, თუმცა არაინ არ ამბობს, მაგრამ ყველამ იცის, ყველანი დარწმუნებულნი არიან ამასი. ოსმალელების უფლება მხოლოდ სამხედრო, მხეცურ ძალაზე იყო დამყარებული და ყველამ დინახა, რომ იმათ ხალხების მოვლა არ იციან, რომ მარტო მხეცური ძალით რომლისამე ხალხის დაპყრობა და დამორჩილება დიდხანს არ შეიძლება. ხალხის მისაზიდავთ სხვა ძალაა, მორალული და განათლების ძალაა საჭირო და არა მარტო ხრმლისა.“


ამის შემდეგ ხსენებული კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ ქმად ოსმალთს საქმე ისეთ ნაირად მიიწურა, რომ ესრედ წოდებული „აღმოსავლეთის კითხვა“, უეჭველია, დღეს თუ არა ხეალ, როგორც იქნება უნდა გადაწყდესო; იმის შეიწროებულ ხალხებს, როგორც ხედვთ, მეტი მოთმენა აღარ შეუძლი-

შევეჩვიეთ; მუდამ, ყოველს ნაბიჯზე შეხედებით...

ბიქო ტიპია, განხორციელებული წარმომადგენელია იმ დინჯი, დარბაისელი და „გადამდარი“ მოხუცებულისა, რომლის მსგავსაც ყველგან ბლომათ ნახავთ. ბევრი რამ გამოუცდია თავის ცხოვრებაში, ბევრი რამ უნახავს დედა-მიწაზე. მრთ დროს იქნება ესეც პეპოსაგან დევლა, ქუხდა და დულდა; მაგრამ ახლა ნერვები დაებლაგვა, მაგდენათ არაფერი აღარ ააჩქარებს, აღარ ააღლევეს; ყოველივე ამა საწუთროსი განმავალიაო...

მს ოთხი პირია კამედის უმთავრესი პირები, იმის ხასიათის გამოამსახველი.

დანარჩენებში: შუშან, პეპოს დედა, — ერთი ქერივი, თავის შეიღებების უბედურებით გულდამწვარი, მუდამ მტირალა დედაკაცია, რომლის ნატერა მხოლოდ ის არის, რომ



ანთა და მეროპამ ძალა-უნებურად მონაწილეობა უნდა მიიღოს მსმალის შინაგან საქმეებში.

საზრუნველო. ქომისიას, რომელიც მიბარებული ჰქონია ამას წინათ წარდგენილი ახალი კანონი დიუჟორისა, ბეჭდვის თაობაზე, მომეტებული ხმით უარ უყვია ეს კანონი. ამბობენ, რომ ნაციონალურ პრებაში ამ საგნის თაობაზე და განსაკუთრებით ზოგიერთი დებარტამენტების სამხედრო მდგომარეობიდან განთავისუფლების თაობაზე გაცხარებული ბრძოლა და მოლაპარაკება იქნება.

მსპანი. პარტიის ერთს გაზეთში დარწმუნებით იწერებია, რომ მსპანის ქორტისგან წვერთა არჩევანი მთელს მსპანიაში 1 თებერვალს იქნება დანიშნული.

— ძარლისტების ბრძოლა თავის რიგზედ მიდის.

შეიარაღება მკოჰისა

შველა მწერალთა, რომელიც ქარების შემცირებისათვის სწერდენ ამა ჩვენს საუკუნოში, ვერ იქონიეს ვერა ვითარი გავლენა და შეუდგენ ამა წარმართთაგან თქმულს: Si vis pacem, para bellum, ე. ი. უკეთეს გსურს მშვიდობა, მზად იყავ მიზნათვის.

პრუსიის შეარაღების სისტემა, გამოგონილი გავლელი საუკუნის დასაწყისში, რომლით წრედრიკე პირველმა პრუსიის მეფემ დაავალა და გამოიყენა ყოველი ახალგაზდანი ჯარად, — მრთელმა მეროპამ ეს ბრძანება საზიზლად მიიღო და შერაცხა მეროპის უბედურებად. შემდეგ, როდესაც ნაპოლეონ პირველმა გავლო ნიემენის მდინარე ნახევარ მილი-

ონი ჯარითა, მრთელი მეროპა შეთრთოლდა, და ამ გვირი შეარაღება შერაცხეს გვირის გაოხრებად.

დღეს მეროპის მთაფრობათა, მშვიდობიანობის დროს თოფის ქვეშ ჰყავთ ამაზედ უმეტესი ჯარები. პრუსიამ ამა უკანასკნელ 1870 თმში იყოლია მილიონზედ მეტი ჯარი, და აასრულა ამითი თავისი წადილი; ამის გამო მრთელი მეროპის შეშინებულ მთაფრობათა ყოველი წადილი მასზედ მიიქციეს, რომ რაც შეიძლება უმეტესად შეარაღებულ იყენენ.

საფრანგეთმა 16 აგვისტოს 1872 დასდვა კანონად ყველა ახალგაზდის მოკრეფა და 20 წლამდის ჯარად შერაცხვა; და მშვიდობიანობის დროს თოფის ქვეშ უნდა იყოლიოს 501, 107 კაცი, ომის დროს 1,104,735 კაცი, და უკანასკნელ გაჭირვების დროს 1884 წელსა უნდა შეიძლოს 2,400,000 კაცის გამოყენა.

იტალიამ აგრეთვე 1872 დასდვა კანონად ყველა ახალგაზდის მოკრეფა, და მშვიდობიანობის დროს თოფის ქვეშ ჰყავს 217,288 კაცი, და ომიანობის დროს შეუძლია შეადგინოს ერთი მილიონი ჯარი.

აესტრიას ჰყავს მშვიდობიანობის დროს 300,000 კაცი, ომის დროს შეუძლია იყოლიოს 1,135,595 კაცი.

პრუსიას მშვიდობიანობის დროს ჰყავს 750,000 კაცი და ომის დროს შეუძლია საბრძოლელად გამოიყენოს 1,800,000 კაცი, და თუ ძალიან გაუჭირდა 2,300,000 კაცი; შარშან ესეც არ იკმარა და, თითქმის მრთელ შეარაღებულ მეროპასთან საომრად ემზადებოდეს, დასდვა 9-სა თებერვალსა ახალი უმეტესად შეიარაღების კანონი, ასე რომ დიდი გაჭირვების დროს შეუძლია იყოლიოს 2,500,000 სალდათი და 300,206 ცხენოსანი.

რუსეთს მშვიდობიანობის დროს ჰყავს თითქმის ერთი მილიონი და

თავის ქალ-ვაჭი ცოცხალი და ბედნიერი ჰყვანდეს.

ბეკე — უბრალო, ღარიბი ოჯახის გასათხოვარი ქალია. მსამ ქალებს ეკუსენის, რომელიც, ყველა უბედურებისა და დაბრკოლების თავიდან ასაცდენელად, მხოლოდ ერთადერთი საშუალება აქვთ: ცრემლები. მამას ან მძას რამე უბედურება შეემთხვა — სტირის, ქმარი ვერ იზოვენა დროზედ — სტირის, ახალი კაბა ვერ შეიკერა — ცრემლები მზათაა!..

მეფე მია — პრუსიის ცოლი, ჩინებული ტიპია იმ ღარიბი ოჯახიდან მდიდარ ოჯახში ჩაყარდნილ ქალებისა, რომელიც სხეების წაბადებით, გარეგნობით და ყალბი ამპარტანობით ჰსურსთ, თავის შთამომავლობა დაივიწყონ და ამბიდდენენ. შული მოუყვდება, თუ იმანაც ისე მდიდრულად არ მორთო სახლი, როგორც იმის მხოზბელსა აქვს; ერთ კვირას სადილს არა სკამს, თუ იმანაც ორმოც-და-ათ თუმნიანი წყვილი სარკეები არ იყიდა; რა გული მოუთ-

მენს, რომ ძარაბეტას მარუამ პო-დესუსას კაბა ან ხავერდის მოსასხამი შეიკეროს და იმან კი არაა!

ღანარჩები მომქმედი პირები „პეპოში“ მხოლოდ იმისთვის არიან გამოყენილნი, რომ უიმათოთ მოქმედება არ შეიძლებოდა, და არა ტიპებად.

ორიოდ სიტყვა წარმოდგენაზედ ეთქვათ.

უფ. ჩიმიშკიანი ნამდელი არტი-სტია, დახელოვებული, გამოცდილი არტისტი, რომელიც თითქმის ცხოველი სული ჩაუდგა პეპოს როლს. იმის მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა სცენაზე და ყველაფერი ნამდელს იფილისის კინტოს მოაგონებდა და თვალ წინ წარმოუდგენდა მაყურებელსა.

საუბედუროდ, უფ. ჩიმიშკიანს ერთი ნაკლუღევანება ჰქონდა, რომელიც ყველამ შენიშნა: ქართული ენის უცოდნელობა ხშირად ეტყობოდა; უჭირდა ზოგიერთი სიტყვების

ომიანობისა შეუძლია იყოლიოს უმეტეს ორი მილიონი ჯარისა.

ინგლისმა, რომელიც ვარშემოცულია ზღვითა და არაოდეს არ ჰყოლია დიდი ჯარი თოფის ქვეშა, მაინც თვის ძლიერ სტოლას (ჭლოტს) მოუმატა ვოლონტერები და მშვიდობიანობის დროს თოფ ქვეშ ჰყავს 117,410 კაცი, და ომის დროს შეუძლიან იყოლიოს 374,165 კაცი, და თუ მიადგება დიდი დაჭირება, მაშინ შეუძლიან შეადგინოს ნახევარ მილიონი ჯარი.

ოსმალმა მოუმატა ჯარები 60,000 კაცი, და 1878 შეუძლიან შეადგინოს 700,000 კაცი.

შვეიცარიამ მოუმატა 15,000 კაცი, და გაჭირვების დროს შეუძლიან გამოიყენოს 200,000 კაცი.

შვეიცარია მშვიდობიანობის დროს ჰყავს 35,000 კაცი, ომის დროს 272,000 კაცი.

ნორვეგიას ჰყავს მშვიდობიანობისა 12,000 კაცი, და ომიანობის დროს 18,000.

პორტუგალიას მშვიდობიანობისა 33,000 და ომის დროს 70,000 კაცი.

ბელგიას მშვიდობიანობის 30,000 და ომიანობის დროს 100,000 კაცი.

საბერძნეთს 12,000 და ომის დროს ეიდრე 100,000.

სერბიას 4,000 და ომის დროს შეუძლია შეკრიბოს 80,000.

მსპანის ჯარი არ აღირიცხება, შინაგანი ომისაგამო.

ამას გარდა ამაზედ უნდა მიუმატოთ სტოლა, ზღვის ძალა.

დიდს ბრიტანიას აქვს 239 სამხედრო ხომალდი, და 60,000 კაცი, საფრანგეთს 232 ხომალდი და 33,062 კაცი, რუსეთს 225 და 33,062 კაცი, აესტრიას 70 და 40,000 კაცი, მსპანიას 139 ხომალდი და 17,000 კაცი, საბერძნეთს 21 ხომალდი და 1071 კაცი. შემდეგ ამ სტოლას უნდა მოე-

გამოთქმა, და ამისგამო ზოგმა მშვენიერმა ალაგმა პეპოს როლისამ თითქმის შეუნიშნაედ და ჯეროვანი შთაბეჭდილების მოუხდენელად ჩიარა.

უფ. ნათაძემ მეორე მოქმედებაში ჩინებულად ითამაშა; მესამეში კი ცოტა არ იყოს მომეტებულს დელავდა და ცხატებად, თუმცა იმ საშინელი სიტყვების დროს, რომელიც იმას პეპოსაგან ეხმოდა, და იმ ტრადიკულ მდგომარეობაში, მართალი რომ თქვას კაცმა, ამ მუნჯური დელვისა და შფოთვის მეტი, არა დარჩომოდარა.

სხვათაშორის, იმას ისეთი ტანისამოსი-ეცვა და სახეც ისეთ წიარად ჰქონდა გაკეთებული, რომ რომელსამე პატარა ჩინოვნიკს უფრო გვანდა, ვიდრემ ძალაქის მდიდარს ვაჭარს. რაც უნდა ეგროპიულად და უკანასკნელს მოლაზე ჩაიცვას სომხის ვაჭარმა — სომხობა მაინც დაეტყო.

ბაკულის (უ. ი. ბაქრაძის) ხმა არ

მატოს ახალი გამოგონებული გვერდი შოკის სისქე ჩალიკის-ლომალღეტი, რომელიც ადვილად გუროლიც ვერ გახვრეტს და რომელთაგანი 10-დგან ეიდრე 100-მდე თითქმის ყველა სახელმწიფოებსა აქვს.

წარმოდგინეთ — რამდენი უნდა ეხარჯებოდეს მეროპას ამ ჯარების შესანახავად. მიტყუით მხოლოდ, რომ ყველა სხვა გასავალზე თითველ სახელმწიფოს სამხედრო გასავალი უფრო მომეტებული აქვს.

მს უზომო რიცხვი ჯარებისა აჩვენებს თუ რაოდენად რიგია, რომ მთაფრობათა იფიქრონ ჯარების შემცირებისათვის. ამა ჯარების შემცირებაზე განსაკუთრებით უნდა იფიქრონ იმ ქვეყნებთა, რომელთ ხალხი, როგორც მაგალითად — საფრანგეთის, იტალიისა და ბერმანიისა, ასეთს გაჭირებაში იმყოფებიან ამ უზომო გადასახადის გამოისობით. დ.—ბ

ნარეკი

მოსკოვის გუბერნიაში ისეთ წიარად გამოელებულა მღლები, რომ ზოგან სოფელში შემობრიადა და ხალხს კებენო. ამისგამო ზოგიერთს სოფლებში ხალხი ამხედრებულა და თოფ-იარაღითა და კეტებით წასულან საწადიროთ.

* *

მრთს რუსულ გაზეთში შემდეგი კორექსონდენციაა დაბეჭდილი ჩინლანდიდან მიღებული: „ერთს ახალგაზდა ქალს რადაც დანაშაულისთვის ჯედ გადაუწვეიტეს წკებლით გალახვა; მაგრამ ბოლოს ითხოვა და მოწყალებისათვის გადაუწვეიტეს, რომ სამი კვირის განმავლობაში მარტო პურისა და წყალის მეტი არაფერი არ უნდა მიეკარონო. ამ სასჯელს ისეთ წიარად შეუწყუბნია, რომ ბოლოს ისეც ჯოხით ცემა უთხოვინა. საშინლად სცემენ თურმე ჩინლანდიაში წკებლათი; დასასჯელს კაცს ან ქალს სვეტზე ჩამოჰკიდებენ ისე, რომ ფეხები ძლივს მიწაზე უწევდება, გააძრობენ ტანსაცმელს და დაუწყებენ ცემას სამის ჯოხით ერთად, თითოს თითო მინუტის განმავლობაში. ზემოსხენებულს ქალს ორმოცი ჯოხი უნდა დაარტყან თურმე ასე, რომ ორმოცი მინუტის განმავლობაში უნდა აწვალონ.“

აკლდა, მაგრამ ცოტა მომეტებული მოძრაობა მოუხდებოდა.

ბიქოს, შუშინისა და მუემიას თამაშში სცენის სასტიკი კრიტიკოსიც ძნელად მონახედა შესამჩნევს ნაკლულევანებას.

×

საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმო აეტორო — უფ. სუნდუკიანიცი და ყველა მოთამაშეები და უხვი ტაშის კვრით დაასაჩუქრა ისინი. მრთავეთ სამართლიანად დაიმსახურეს ეს საზოგადოების თანაგრძნობა და მადლობა: აეტორომა მშვენიერი კომედისათვის და მოთამაშეთ გულსმოდგინებითა და ნიჭიერად წარმოდგენისათვის.

უკანასკნელი ჩვენი სიტყვა და ნატურა ის იქნება, რომ ამისთანა გონიერული და ესტეტუკური დატკობა რაც შეიძლება უფრო ხშირად ღირსებოდეს ჩვენს საზოგადოებას...

ს. მესხი

განცხადებანი

უფ. ძალადღების და ამხანაგობის წიგნის მალაზიაში ტუკის ხილხედ ისე...

არსენ ძალადღების და იავორ ნარსისონის გამოცემანი:

მან. კაპ.

ბეჭანიანი, მეორედ დაბეჭდილი, 1875 წ. — 10
მარტ-ბულბულიანი, თქმული ტიეიმურაზ მეფესა პირველის, 1875 წ. — 5
მალ-მაყიანი, მეორე გამოცემა, 1875 წ. — 5
ალექსიანი, გამოცემა პირველი, 1873 — 5
წმინდა მარინეს წამება და აპრაშიანი, 1874 — 5
ქაწვილის სარკე ანუ წერაკითხვის სასწავლო წიგნი შედგენილი ანთიმოზ ჭულელისაგან 1875 — 15
ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთველისა, მეექვსედ დაბეჭდილი, გამოცემული არსენ ძალადღების, ქვეთიმე ხელაძის და იავორ ნერსისონისაგან. 1875 — 50
ქვეთიმე ხელაძის და აბხ. გამოსცემანი
ლოცვანი ყოველდღე სათქმელნი. გამოც. მეორე 1875 — 5
სურამის ციხე, მოთხრობა დანიელ ჰონტაძისა, 1875 — 20
სამიჯნურო მიწერ-მოწერა ქალ-ვაჟისა, 1875 — 5
მთერიანი, აბესალომ და მთერის ამბავი, შედგენილი პ. შიკაშვილისაგან, 1875 — 5
ჭიანური, გამოცემა პირველი 1875 — 10
სტ. ზარაფონის გამოსცემანი
საყმაწვილო ძონა, შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან 1875 — 30
ჩრეული არაქები „სიბრძნე სიცრუისაგან“, თქმული საბა ორბელიანისაგან, 1874 — 5
ლექსები სახალხო სიმღერებისაგან, შედგენილი პ. შიკაშვილისაგან, 1874 — 5
ჰარამანიანი, კარი პირველი და მეორე, გამოც. დ. ლაზაროვისა და ნიკ. ძობალაძისაგან 1875 — 60
ჰარამანიანი, მესამე კარი სიბრძნე სიცრუის წიგნი, თქმული საბა სულხან ორ-

ბელიანისაგან, გამოც. პ. შიკაშვილისა 1871 — 50
მ. ბრ. ორბ. ლექსები, გამ. პ. შიკაშვილისა 1873 — 50
დავითიანი, თქმული შურამიშვილის დაეითისაგან, წიგნი პირველი, 1873 — 50
საქართველო, პირველი რეგული, შესავალი, ძველნი. თხზულება დიმ. ბაქრაძისა 1871 — 50
ბავშვების მოვლა პ. ძომბისა, თარგმნილი მასილ მაჩაბლისაგან, 1870 — 50
სამწარეულო წიგნი, შედგენილი იან. ბარბარე ჯორჯაძისაგან, 1874 — 1 —
სიტყვიანი და მოძღვრებანი, თქმული იმერ. პისიკ. — 2
პაცია, ადამიანი, მოთხრობა ილ. ჭეჭეყაძისა, ს.-პეტერბურლი 1869 — 50
მართული მრისტომატია, ნაწილი პირველი და მეორე გამოც. დავით ჩუბინოვისაგან ს. პეტერბურლის. — 1 —
ბუნების ძარი, დაბალ კლასში სახმარებელი შედგ. იაკ. ზოგებაშვილისაგან 1872 — 60
ანბანი, შედგ. იაკ. ზოგებაშვილისაგან 1872 — 5
დარიგება მასწავლებელთათვის შედგ. ი. ზოგებაშვილისაგან 1872 — 5
პირველი წიგნი, ამერიკულ მეთოდზე შედ. რაფ. ისარლიშვილისაგან 1875 — 5
ძალენდარი სომეხთა და ქართველთა გამოცემა ს. მღივანოვისა 1876 წლის — 20
თამარ - ბატონიშვილი, ისტ. რომანი ვ. ჩჩულოვის 1875 — 30
მგოსანი, სიმღერები თქმული დავ. ბავიშვილისაგან, 1875 — 20
სახლნო საზანდარი, სხვა სიმღერების კრება შედგ. ზ. სკანდაროვისაგან, 1875 — 1 —
ძეთილი ბერიკაცი, ნათარგმნი მეტ. შარაბიძის მიერ 1875 — 5
ძრეულები 1873 წლის ცხრა წიგნი — 3 —

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ დროშების ქალწინდარი პატარა და დიდი.
სახელმძღვანელო წიგნი
იღვდეულთათვის, შედგენილი დავით ლამაზიძისაგან.

ძალაქს გარეთ ვისაც წიგნების დაბარება უნდა, ამ აღრესით მოითხოვონ.

Въ Тифлисѣ. Книжный магазинъ г. Каландадзе, на Михайловскомъ мосту, здание Мирзоева.

ძალადღების, ნერსისონის და ხელაძის გამოცემულ წიგნებს ეინცხუთ მანეთზე მეტს დაიბარებს, მანეთში ორი შაშრი დაეთმობა. სხვა წიგნებში ფონტის ფული არ გადახდებათ.

იხილვა
თფილისში ქვეთიმე ხელაძის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო
ქონა
პირველ - დაწყებითი მოთხრობებისა,
გუნების მშენებარი
შედგენილი იაკობ ზოგებაშვილისაგან
გამოცემული სტ. ზარაფონისაგან
შასი ხუთი შაშრი

იხილვა
ძალადღების და მართანოვის წიგნის მალაზიაში ტუკის ხილხედ პ. შიკაშვილის გამოცემანი:

ბრიგოლ ორბელიანის ლექსები
შასი ათი შაურე

სიბრძნე სიცრუის წიგნი
თქმული
საბა ორბელიანისაგან
შასი ათი შაურე

დაიბეჭდა და ისყიდება
თფილისში, ქ. ხელაძის სტამბაში,
ზანოვის ქუჩაზე, ვ. ბებუთოვის სახლებში და წიგნების მალაზიაში

ჭიანური
ანუ
სახუმრო ლექსები
შინაარსით:

— ზამარჯობა მკითხველს! — ქვეთიმე ხელაძის გამოცემა ქალბებთან! — შიკაშვილის გამოცემა ქალბებთან! — შიკაშვილის გამოცემა ქალბებთან! — შიკაშვილის გამოცემა ქალბებთან! — შიკაშვილის გამოცემა ქალბებთან!

უფ. იევანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ზრანტუხულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანისაგან. შასი ერთი აბაზი.

როინოვის ფოტოგრაფიაში (სასახლის ქუჩაზე, ზ. სარაფონის სახლებში).
ისყიდება სხვა და სხვა ქვეყნების წარჩინებული მწერლების სურათები და აგრეთვე ახლად გადაღებული სურათი
შოთა რუსთველისა
შასი: სულ დიდი კედლის სურათი — 1 მან. თითო ეგზ.
— — კაბინეტისა 50 კაპ.
პატარა კარტიკები 20 კაპ.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисѣ. Въ фотографію Роина, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджова.

თფილისის ყველა წიგნის მალაზიაში, აგრეთვე სულიკოვისა და სულთანოვის მალაზიაში და მიგაზეფეთებთან იხილვა გამოცემული სხვა წიგნები საუკეთესო კარდონის ქალაქისაგან გაცემებული რეზინით. ბეგმეტრის და ხაზის სწავლის დროს აუცილებელად საჭიროა. გამოცემა პ. ბენეცკისა. შასი სამი აბაზი გუგუნენელად. მინც 10 ეგზემპლარიან ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმათ გუგუნენისათვის არაფერი გადახდებათ.

Table with columns for months and days (არა. გზა, დილა, საღამ., II კ., III კ.) and rows for various items like შოთა, აბ. სენაკი, სამტრედია, etc.

Table with columns for 'კაცების გვერდები' (კ. I, II, III) and rows for 'წიგნების გვერდები' (კ. I, II, III) with items like შოთა, სოხუმადი, etc.

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამწვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდის ორბ., ოსტრატის — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) მ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და შოთისაგან — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოსტრატის — ორშ. და პარასკ. ზუგდიდის — ოსტრატ.
გ) ზ ო რ ი დ ა მ.
შოგვღან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) შ ო თ ი დ ა მ:
შოგვღან ყოველ დღე, კვირას გარდა.

ბირჟა
პეტერბურგი, 29 გიორგა
პირთი მანეთი ღირს:
ლონდონში 32 პენსი.
პარიჟში 334 სანტიმი.
მოსკოვში (სარგებლისფასი)
ბანკის ბილეთი 5%
მოგვბიანი (პირველისფასი)
მოგვბიანი (მეორე სფასი)
ბრაოლს ფურცლები:
თფილ. საზნ. ბანკისა.
ხერსონის ბანკის (5 1/2)
მოსკოვის (5%).
აქციები:
ოდესის სავაჭრო ბანკის
შოთი-თფილ. ბანკ. გზის
შავიზღვის ცეცხ. გემების
ქაჭახის და მერკურის.
პირგ. საზღვევ. საზოგ.
პეტერბ. საზღვევ. საზ.
მოსკოვის საზღვევ. საზ.

Table with columns for 'გაზანდა' (მან. კაპ.) and rows for 'შოთა' (მან. კაპ.) items like შოთა, შურამი, შიკაშვილი, etc.